

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №1

2010 წლის 13 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა, სამხედრო განათლებისა და მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 თებერვლის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა, სამხედრო განათლებისა და მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 1 თებერვლის №31 ბრძანებაში (სსმ, 19, 10.02.2006 წ., სარეგისტრაციო კოდი 120.340.000.22.026.008.144) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების 1¹ და 1² პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹.ამ ბრძანებით დამტკიცებული სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები (გარდა კადეტთა სასურსათო იჯრისა, ნორმა № 6¹) წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა (შემდგომში – მოსამსახურე) სასურსათო უზრუნველყოფის მინიმალურ ნორმებს და მათი გაზრდა შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში.

1². მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა ითვალისწინებს კერძის შეუზღუდავი რაოდენობით მიწოდებას, გარდა ხორცის, თევზისა და მათგან დამზადებული კერძებისა.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის:

ა) ნორმა №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სასურსათო

უზრუნველყოფის ნორმები

ნორმა №1

№	პროდუქტის დასახელება	დღიური ნორმა ბრუტო გრამში
1	პური I ხარისხის ხორბლის ფქვილისგან	500
2	პური II ხარისხის ხორბლის ფქვილისგან	200



3	ხორბლის I ხარისხის ფქვილი	10
4	სხვა ბურღულეული (მათ შორის, პარკოსნები)	80
5	მაკარონის ნაწარმი	40
6	ბრინჯი	40
7	ხორცეული	580
8	თევზი	160
9	მცენარეული ზეთი	20
10	ერბო	10
11	კარაქი	40
12	რძე	150
13	არაჟანი	110
14	ხაჭო	120
15	ყველი	90
16	მაწონი	150
17	მაიონეზი	20
18	კვერცხი (ცალი კვირაში)	10
19	შაქარი	60
20	მარილი	20
21	ჩაი	1
22	კაკაო	1
23	დაფნის ფოთოლი	0.1
24	საკმაზ - სანელებელი	0.4
25	წიწაკა	0.3
26	მდოგვის ფხვნილი	1
27	ძმარი	4
28	ტომატ - პასტა	20
29	საწებელი	15



30	კარტოფილი	500
31	კომბოსტო	120
32	ჭარხალი	60
33	სტაფილო	60
34	ხახვი	60
35	წიორი	10
36	კიტრი, პამიდორი, ბადრიჯანი	150
37	მწვანილი სხვადასხვა	20
38	ხილი სხვადასხვა	350
39	ჩირი	10
40	საკონდიტრო ნაწარმი	150
41	თაფლი	20
42	ხილფაფა ან ჯემი	55
43	შოკოლადის ბატონი	50
44	გამაგრილებელი სასმელი	350

შენიშვნა: ამ დანართით გათვალისწინებული სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები ასევე ვრცელდება აქტიურ რეზერვში ჩარიცხულ პირზე მისი გამომახების, ხოლო სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხულ პირზე სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურში გაწვევის დროს.“;

ბ) ნორმა №1¹, ნორმა №2, ნორმა №2¹, ნორმა №3 ამოღებულ იქნეს;

გ) №4 ნორმის შენიშვნა ამოღებულ იქნეს;

დ) ნორმა №6, ნორმა №7, ნორმა №7¹, ნორმა №8, ნორმა №8¹ და ნორმა №9 ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

